ოთხშაბათი 1 იანვარი 1914 წ. ფასი 5 კაპ.

F 88
1914

# მათრახი

№ 1. იუმორისტ. ჟურნალი



## ახალი და ძველი.

ახალი და ძველი ჩხუბობს,
ომი არის გამართული;
გვერდს უმშვენებს მათ დაშქარი
და დროშები ამართული.

ცხადი არის საბოლოოთ,
ვის დარჩება ბრძოლის ველი,
გაიმარჯვებს ახალი თუ
ისევ ბებრუხანა ძველი.

არ იკითხავთ მეგობრებო!
რისთვის მოხთა მათი ჩხუბი,
მამა-შვილმა რომ ერთმანეთს
მოუმარჯვეს ხმალი-შუბი?!
ეს საგანი რთული არის,
დღეს ვერ გამოვხატავ სრულათ,
მაგრამ მაინც, ცოტა რამეს
ვიტყვი მხოლოთ ქარაგმულათ:
ეს ბებერი, ამ ყმაწვილის
მამა არის, ძველი წელი,
სიბერის დროს გაბოროტდა,
ზნე დასჩემდა საშინელი:
არ იბრალებს საწყალ ხალხსა
ეს ბილწი და საძაგელი,
ზოგი შიმშილით დახოცა,
ზოგს დანით გამოსჭრა ყელი.
გლეხებისგან ქრთამებს იღებს
სულ გააძრო ყველას ტყავი,
ეს საწყალი მუშა ხალხიც
გახდა მისი გასახრავი.
მოსწონს ძველი ჩვეულება,
წირვა-ლოცვა, საწირავი!
ისე უცქერს თავის შვილებს,
როგორც შესაჭმელი კრავი.

—

შვილი არის—კაცთ-მოყვარე,
ბოროტებით მოსდის გული;
ეცოდება უსახლკარო,
ებრალება დაჩაგრული.
მას არ მოსწონს, მუქთა-ხორა,
ბატონობა, ძველი წესი;
იმას მუდამ თვალ-წინ უდგას
მომავალი უკეთესი.
ასე აზბობს: ძლიერები,
უნდა სუსტებს არ ჩაგრავდეს,
კაცი უნდა კაცად იყოს
და ტყის ნადირს კი არ გავდეს!

—

ამიტომაც, შვილს და მამას,
ბრძოლა აქვან გამართული,
გვერდს უმშვენებს მათ ლაშქარი,
და დროშები ამართული.
ზოგი ახალს ეხმარება,
ზოგსა მოსწონს მამა, ძველი!..
ცხადი არის, საბოლოოდ
ვის დარჩება ბრძოლის ველი.

**მათრახოსანი.**

# მკითხველებს

ძველი წელი წავიდა ჯოჯოხეთისკენ და ქვეყანას მოევლინა ახალი, რომელიც ნუგეშს უღვივის გულში ყოველ დაჩაგრულსა და ტვირთ მძიმეთ. რას მოგვიტანს ეს ახალი წელი, მშრომელ ზანაკისკენ გადაიხრება თუ მუქთა-ხორებისაკენ, ამას წლის ბოლო დაგვანახვებს, ხოლო ჯერ-ჯერობით იმას ვიტყვით, რომ ეს წელი ძველ ძლებზედ უნამუსო არ გამოდგება და რომ უკეთესიც არ დარჩეს, მაინც იმედს ჰბადებს მშრომელი ხალხის გულში—უკეთესი მომავლის მისწრაფებისაკენ.

მაშ მივულოცავთ ჩვენს მკითხველებს ახალ წელიწადს; ვისურვებთ ამ წელში აგვშორებოდეს: შიმშილობა, ავათმყოფობა, ყაჩაღებისაგან ცარცვარბევა და მთავრობისაგან ეგზეკუციები.

დანარჩენი გაჭირვებაც შემდეგ წლებმა აგვაცილოს.

# საახალწლოთ

(სტროფები)

ჩემო სიცოცხლევ! უკვე მეცხრე წელიწადია,
დავრბივარ, გეძებ, მინდა გნახო, გულით მწადია;
მსურს, რომ გიპოვნო, შენთან ვიყო,
შენთან ვსტკბებოდე,
მსურს შენს ფრთების ქვეშ,
ვმოძრაობდე ვიღიმებოდე!
სადა ხარ?! სად ხარ?! ქვეყნისა მზევ, სახე-ნათელო!
მომავლის ბედო—სიყვარულის გამომხატველო;
მსურს ერთხელ კიდევ დაგინახო შენ ამ ქვეყნადა
და, მერე თუნდა სამუდამოთ ვიქცე ფერფლადა!
გამოჩნდი ტურფავ! მოჰყევი ამ ახალსა წელსა;
თავ-ზარი დასცი ავ-სულების ბრბოს—საზარელსა.
გადმომაფრქვიე შენს მონატრულს შენი სხივები,
გამითბე გული ცივ ზამთრვსგან განაცივები.
ამოიყვანე მზე ჩაგრულთა დამატკბობელი,
სუსხ-ქარიშხალის ძირს დამცემი, დამამხობელი.
მეცხრე წელია სხივი, მე ვერ დაგთმე, გაგცვალე,
აწ დროა გნახო და გამოჩნდი შენ გენაცვალე!
მსურს შენთან ვიყო.. დღეს ახალი წელიწადია,
შენც კარგათ იცი, რას გისურვებ და რაც მწადია!
მაშ გაუმარჯოს! გაუმარჯოს
ამ ახალ წელსა,
თუ არ ჰქყივის და არ წაჰგავს
წარსულებს ძველსა!..

**ვ. აბრამიძე.**

# ახალი წელი.

მოგივიდათ ახალ წელი,
აბა ჩქარა გაისარჯეთ;
გოზინაყი, მურაბები,
მოამზადეთ ცქვიტათ, მარჯვეთ;
ნუ დაზოგავთ საშვალებას,
ფუქსავატ დღეს მიახარჯეთ,
გამვლელს და გამომვლელსა;
მიპატიჟეთ, უდარაჯეთ!

არაყი და სასმელები,
მასთან ღვინო იქონიეთ;
თუ არა გაქვთ შეიძინეთ,
რითაც შესძლოთ ილონიეთ,
არ დაზოგოთ ამა დღისთვის,
ფული ფანტეთ, დააბნიეთ;
მით მიბაძეთ მამა-პაპათ,
თქვენც იმათი წვენი სწვნიეთ.

ყურს ნუ ათხოვთ თქვენ იმასა,
ვინც აძაგებს ახალ წელსა;
ახალი მას აღარ იზამს,
რაც უქნია წარსულ ძველსა,
მოგიხდებათ სუფრას სხდომა,
სტუმარსა და მასპინძელსა,
ბედი მაშინ გაგიღიმებსთ,
როცა არყით იტკბობთ ყელსა.

არყის სმა რომ გაათავოთ,
შემდეგ ღვინოს ჰკიდეთ ხელი;
ხომ გიწყვიათ სუფრასაზედ
ინდოური გოჭი ცხელი.
სარდინკა და ხიზილალა,
თართის დოში ზურგიელი,
გულიანად შეექეცით,
გულ-უხვია მასპინძელი.

როცა კარგათ შეხურდებით,
მოიგონებთ წამებულებს;
ვინც ხალხისა საკეთილოდ,
მიუშვერდნენ ტყვიას გულებს;
ამასთანვე მტრისა ხელით,
უსამართლოდ ცაჩაგრულებს,
აღამაღლებთ ცათამდინა,
საკანშინა დამწყვდეულებს.

ერთის სიტყვით ქეიფის დროს,
ყველას მაშინ მოიგონებთ;
ცოცხლებს სიტყვით ადღეგრძელებთ,
მკვდრებსა სასმელით აცხონებთ.
თქვენსა ძმასა რომ შიოდეს,
მის კვნესას რომ გაიგონებთ;
მარტო იტყვით დაასწროსო,
თავებს ამით მოიწონებთ! .

მესაკრავე და მეზურნეც,
სწორედ მაშინ გინახულებს;
დაუკრავენ ტკბილსა ჰანგებს
ნუ დაზოგავთ მათთვის ფულებს,
გეშინოდეთ თუ არ მისცეთ,
სამუდამოთ მოგიძულებს;
უთავ-ბოლოდ უნდა ჰყრიდეთ,
ჭირის ოფლით მოგებულებს.

ამა დღესა ქეიფით და
დიდის ლხინით გაატარებთ,
ვინცა გნახავთ, ვისაც ნახავთ,
აკოცებთ და შეიყვარებთ.
რა დაღამდეს დაიძინებთ,
საბანს თავსა შეაფარებთ;
მოგილოცავთ მაშინ როცა,
გათენდეს და არ იმწარებთ.

**განჯის-კარელი.**

---

# ჩემი დარდები.

მე არ მახარებს ახალი წელი,
ოდეს გულს მიკლავს სევდები მწველი,
ოდეს წინ მიდგას უფსკრული ბნელი
და შიგ ჩავარდნას ყოველ დღე ველი.
არა მყავს მხსნელი,
მომხვიოს ხელი
და დამანახვოს
მე გზა ნათელი;
უცეცხლოთ ვიწვი
როგორც სანთელი,
შორსა მყავს სატრფო
და საყვარელი.

—

მე გავითენებ ახალსა წელსა,
ოდეს ვიხილავ ჩემს საყვარელსა;
გულში ჩავიკრავ, შემოვხვევ ხელსა
და დაუკოცნი ტუჩსა და ყელსა;
ის ჩემს გონებას
მოჰფენს ნათელსა,
დაკოდილ გულსა
გამიხდის მთელსა;
შიგ ამიყვავებს
წალკოტის ველსა
და მაგრძნობინებს
წუთს სანატრელსა.

—

მაშ ნუ მილოცავთ მე ამ დღეობას,
როცა შორსა მყავს ჩემი დამწველი;
როდესაც ვნახავ მე იმის სახეს—
მაშინ მექნება ახალი წელი.

**დარდიანიძე.**

---

# ს ა ლ ა მ ი

**ჩვენს კორესპონდენტებს.**

მეგობრებო! მოგილოცავთ
ახალ წელს და ახალს ხანას,
ახლებშია ეხლა ძალა
და ძველებს კი--ვეტყვით ნანას!
**ვაშა-ბაქურას** ვაბარებ—
ბაქოსა და ბალახანას,
დარაჯია გაბედული,
ის მოუვლის ბნელ ქვეყანას.

**სატანას** კი დიდი ხნიდან
აბარია ქიათურა
და აჭყავლებს, იმ ჯურღმულში
ვინც კი არის მგელი, ტურა.
საუცხოვო მზვერავია—
ბათუმელი **ისკანდერი**,
იმან უნდა შეახუროს
გაიძვერა, მუშის მტერი.
**შხანკოლა** მყავს დანიშნული
მე გურიის რევიზორად,
მათრახი აქვს მომართული
ხულიგნების ვასაჯორად;
ვუსურვებ, რომ ამ წელიწადს
ყოველივე ხიფათს აცდეს,
მკვსრცხლად იყოს მისებურად,
ბოლოს კი არ გაზარმაცდეს!..
**ბუჯღუტმა** კი—თვისი ქაცვით
უნდა ხალხი დაბუჯღუტოს,
იმის შიშით, გაიძვერამ
წელში უნდა მოიკუნტოს;
**თემუყამაც** უფრო ხშირად
უნდა დაგვიწეროს სცენა,
მაგრამ ადვილ წასაკითხად—
მკითხველმა არ ‹ლრძოს ენა
და, **ირაკლი კოგოლაძემ**
მოგვაწოდოს არაკები,
ძვირფასია ხალხისათვის
მისი ნალაპარაკები;
**ხოლო, ძველსა მათრახოსნებს**
ასე უთხრათ სადაც ვნახოთ:
„თუ უთქვენოთ ჩვენ არ ვარგვართ,
არც თქვენ ვარგხართ უმათრახოთ".
**მათრახოსანი.**

# გლეხების გალოცვა

**ახალ-წელიწადს.**

გინდა მოდი, გინდა წადი,
მატყუარო „კალანდაო"!
რის ახალი, როს ძალლივით
გვძიძგნის ძველი კამანდაო!
ზურგზე ძველი კურტან კეხი
და მათრახი კეფაზეო,
ხელი-ფეხი შებორკილი
და მუხრუჭი ენაზეო!
იგივ ძველი ქურუმები,
მტრები, მუქთა-ხორებიო,
ვაჭრები და მემამულე,
ექსპლოატატორებიო.
აქეთ ყაჩაღები გვარბევს,
იქით ბოქაულებიო,
უმადურათ გვეკარგება —
ძღვენი შტრაფის ფულებიო.
მათ გილოცონ, ვისაც წყალობ,
ახალ-წელო, „კალანდაო",
მაგრამ როცა ჩვენ ვიხარებთ,
იგლოვს მტრების კამანდაო.
**შხანკოლა.**


„სავიზიტო." მიმავალნი


„ვიზიტიდან" მომავალნი

# საახალწლო მათრახები

**„სახ. გაზეთს".**

თბილათ გძინავს, ტკბილათ ხვრინავ,
ალჩუს მოგდის კენტი, ლუწი;
ქაცა შენი გაქვს და კაკალიც
დაჩეჩქვე და უყავ ყლუნწი;
რომ დროზე დაარიგებდე,
პრემიებზედ არ ხარ ძუნწი,
მაგრამ როგორ შევინახოთ
ამდენი ნაკუწ-ნაკუწი?

**„თემს"**

ჭიტას, უტუ-კუკუმალას—
წეს-რიგი ვინ გიწუნოსო,

გმირმა უნდა დინჯათ იყოს,
ბავშმა უნდა იხტუნოსო!
დღეს აქა ხართ, ხვალე იქა,
ზეგ იქნები სადღაც შორსო;
გისურვებ, რომ ახალ წელშიც
თამაშობდე ჩილიკ-ჯოხსო.

**„ფიქრს“**

თქვენმა ფიქრმა მტრის ბანაკიც
კი მოიცვა ფიქრებითო;
ესფერებსა დააჭლერქებთ
თუ რომ დიდ-ხანს იქნებითო.
მკითხველები დაიღალა
გრძელი პოლემიკითაო;
ირონარი რომ არ გყავდეთ
დაგკიდებენ ქლიკითაო.

**„კლდეს“.**

კვირაობით იბეჭდები,
მხოლოთ ორას ცალათაო,
მკითველები შენ არა გყავს,
არც ვარგიხარ მხალათაო;
კლდესავით ხარ ერთ ადგილას,
იგინები მყრალათაო!
რისთვის წვალობ, მეზობელო,
აგრე ძალის ძალათაო?.

**„სუსხს“**

სათაური ჟურნალს გიგავს,
შინაარსი დომხალსაო,
კარგი მკვდარი ბევრათა სჯობს!
შენისთანა ცოცხალსაო;
მაგრამ რას იქ, როდესაც რომ
სძინავთ ბედაურებსაო!..
(მოედანზე ქიზიყელი
აპანტურებს ყურებსაო!)

**წ.-კ. საზოგადოებას.**

საფრთხობელა გააკეთეთ
და დაჰკიდეთ კარებს ხუნდი,
თორემ შესვლას აპირობენ
თქვენს ტაძარში მშრომელთ გუნდი.

**ავლ. თეატრს.**

სულით გულით მოგილოცავ—
თრმოც ვირთხას, სამოც ბაყაყს,
მაყურებლათ ჩასთვლის ვინმე
იმათ ხრაგუნს, იმათ ყაყანს.

**ავლაბრელებს.**

ჟურნალსა და გაზეთებსა
ახლოს არსად გაეკაროთ,
რო სენი არ გადაგედოთ
და პირი არ აიმყრალოთ.

**კუჭია.**

## რა ვქნა, მუზამ შემომიჩნდა!

სნეულებათ მიმაჩნია
ყველაფერზე ლექსის წერა,
მაგრამ მუზამ აგრე მითხრა
და კიდევაც დამაჯერა:
— მო! მაგიდას მოუჯექი,
საწერ კალამს სტაცე ხელი,
ნუ თუ არვის მიულოცავ
ახალი რომ დგება წელი?
მე სრულიად არ მახსოვდა
დემოკრატი ძველის-ძველი,
მაგრამ იმან გამახსენა—
„მეცნიერი“ გომართელი.
მითხრა წადი, მიულოცე
ბატონ ექიმს ახალწელი,
სრულიადაც არ შეშვენის
მას რო ქვია ის სახელი;
საჭიროა, ვანოს ნაცვლათ
დაუძახოთ „მანასეო“,
რადგანაც რომ მისი საქმე
„ხან ისეა, ხან ასეო“.
მერმედ მითხრა: აქ თბილისში
ჟურნალია „ერთად ერთი“,
(ხოზიკაის სამოთხე და
ლელაშვილის ჯოჯოხეთი);
იქაც შედი, მიულოცე
ეს ახალი წელი ყველას,
და მათრახი უთავაზე
ქიზიყელს და პეტრუზელას.
რას გვერჩიო, თუ რომ გკითხონ,
ხმა არ გასცე, გამობრუნდი,
(მშრომელ ხალხის „ჭირისუფლებს“
აზრი აქვან მეტად ბრუნდი).
შემდეგ წადი, მოიარე,
გურიისა არე-მარე,
რადგანაც, რომ იქ ბევრია
„უჩიტლები“ მგლოვიარე.
ეგრე ძნელი დავალება
მკითხველმა ხთქვას თუ რას ჰგავდა?
იმის ნუგეშს ვით ვეტყოდი
„იანცი“ რომ გადაშავდა.
იგიც მითხრა: ბათუმისკენ
წავსულიყავ ძლიერ ჩქარა
და იქ ნიკო ჩინოვნიკი...
მეტს არ ვამბობ, აწი კმარა;
ჩინოვნიკის ხსენებაზე,
ჟრუანტელმა დამიარა
და იმ წამში ჩემი მუზაც
აღარ სჩანდა გაიპარა!
სად წავიდე მე უმუზოთ,
ან და ვის რა მიულოცო!
ყველასა სჯობს—დღეს ბარიშნებს
მოვეხვიო და ვაკოცო.

**ბორბოშა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ეშმაკი

**პირვ.** ნეტავ სად იყავ ამდენი ხანი,
რომ ვერსად გნახე მათრახოსანი?
გამომიჭედეს ძმობამ ყურები,
შენზედ გაისმის საყვედურები...
„რისთვის გაჩუმდა გვიკვირს ასეო,
მათრახოსანი, ჯანით სავსეო“!
ყველა კითხულობს, შემოჰკრეს დეზი,
უნდათ გაიგონ რაა მიზეზი...
**მეორე.** რა გაეწყობა... არც ორგულობა...
ეშმაკმაც იცის მოქანცულობა...
მაგრამ ეშმაკი მარტო გაჩუმდა?
აი, ბლიკვაძე აიღე თუნდა:
იგიც ხომ სწერდა არაკებს ხშირათ?
ეხლა სადღაა?.. შეხვდებით ძვირათ.
კვინწარი, კენტი, თუნდ ოლდემარი,
(„ნეგატივები“ იცოდა ჩქარი),
ფონტეფომც აღარ იბრუნა პირი,
(მღვდლების გაწკეპლვა უყვარდა ხშირი).
**პირვ.** ეგ რაღას ფიქრობს, არ ვიცი მარა,
„ტორმუზის“ ქაჩვა მარტო არ კმარა...
**მეორე.** მოიცა, კიდევ ბევრნი არიან,
პიტნა და რიჟაც არ იჩქარიან...
**პირვ.** მაგას დავეხსნათ მეც სხვას ვიჩქარი,
ქიათურაზე რამე მითხარი.
ამბობენ რაღაც „ჩხუნკალიაო“,
არ უჩანს ბოლო, არც თავიაო.
**მეორე.** ნუღარას მკითხავ მაგათზე ტყულა;
ინტრიგანიზმი გამეფებულა.
რაებს სჩადიან, მეგობრობენ ვის,
ზოგის „გმირობას“ ენა ვერ იტყვის.
მოგტეხენ ყბასაც, თუ საქმე მიდგა,
(ახირებული დროი დაგვიდგა!)
**პირვ.** როგორ თუ ყბასა, ვინ არის აგი?
გარეშე ვინმე თუ ამხანაგი?
(მუშტის მოყვარე და კრივოსანი,
არ არის კაცი კულტუროსანი).
**მეორე.** რა მოგახსენო... არცა უვიცი...
გამგე „ოჯახის“ (აგი კი ვიცი)
და—იმ დღეს სცემა მან რედაქტორი,
მუშტი მიარტყა ერთი, თუ ორი!
**პირვ.** ნუ თუ ვასილი!?. უყურე შენა!
„ოჯახის“ კრებას, რომ მოახსენა
„ანგარიშები“, „ევროპიული“,
(თავის მართლებით“ იჯერა გული.)
სიტყვა-პასუხით გასინჯე მოდი,
მე მისგან ამას არ მოველოდი.
ალბათ რომ შეცდა—თითონც გრძნობს სწორა,
მაგრამ ბოდიშით გამოასწორა?
**მეორე.** ახ, რის ბოდიში: „ჩუმათ ერთიო,
ჯერეთ სამი მყავს გასაბეთქიო“.
**პირვ.** კიდევ სამიო? ეს რაღა მესმის.
უფრო უვიცზე აბა რა მეთქმის!
მითხარი კაცო, შეირყა თუ რა?
(არსენამ მაინც არ შეახ-ურა?)
იგი გაზეთში „კორესპონდენტობს“
და „მწერლობაში“ სუყველას მეტობს.
**მეორე.** მისებრ დამცველი ვასილს არა ჰყავს,
(ძაღლი რათ დახევს ძაღლისავე ტყავს!)
ინტრიგანია ძალ-გულოვანი,
და „პოდრაჩიკი“ სრული წლოვანი.
**პირვ.** ინტრიგანიო?! მითხარი ერთი,
ნუ თუ იმასაც გაუწყრა ღმერთი?.
**მეორე.** და მარტო იმას!? კოლა მეტია,
(თუმცა ბუნებით ის ჩერჩეტია).
**პირვ.** სწორეთ გავშტერდი; აგი ვინღაა?
მითხარი ძმობამ, თუ სად ვინ რაა.
**მეორე.** როგორ არ იცი კაცო, ყოფილი
შტრეიბეხერი არის მოქნილი.
მის მორჯულება მუშებმა სცადეს
და ბოიკოტი გამოუცხადეს.
**პირვ.** აჰაა, კი მივხვდი; შარშან ზაფხულში.
(სილოვანისტობს, მას იძვრენს სულში).
მაგრამ მითხარი, რა მოიქმედეს,
მოღალატობა რამე გაბედეს?
რით გამოხატეს თვისი „გმირობა“,
ხომ არ აწუხებსთ ჭკუის ძვირობა?
**მეორე.** აგი საკითხი უფრო რთულია,
მაგაზე ბჭობაც უხერხულია.
შესდეგისათვის შემოვინახოთ
და პირობებიც გავშინჯოთ ვნახოთ...
**პირვ.** კარგი ძლიერ და პატიოსანი,
მაგრამ იქ არის მუშა „მგოსანი“,
წაიარტისტებს, (თუ ვირწმუნებთ ხმებს),
პატიოსნობით ის სჯობნისო სხვებს.
მითხარი, ძმობამ, ნუ გამატან ჯავრს,
იგი ხომ არას საქმიანობს ავს?
**მეორე.** აბა რას ამბობთ? არას იტყვის ცუდს,
თუმცა იმათთან აქიცინებს კუდს.
მაგრამ რა უყოთ, რა გაეწყობა?
მელა-კუდობა სხვებსაც ეტყობა.
**პირვ.** ვუძღვნათ მათრახი დღეში სამჯერა,
რომ არ განკურნოს, აგი არ მჯერა...

**ახლათ-მოსული.**

---

# პროვინციის მილოცვები

**ფ ო თ ი ს ა თ ვ ი ს.**

ქალაქის გამგეობას.

ახალ წელს „სოლოს“ ულოცავ
კოწიას—გახარებასა
და ნოეს—„ავტონომიის“
ხალხისთვის მოპოებასა...
იცოცხლეთ ქართველთ გმირებო,
წმინდაა თქვენი მიზანი,
მთლად „ააშენეთ“ უპრავა
და მოიმატეთ ხიზანი.

ნ. ნიკოლაძეს.

იონამ შემოგითვალა:
რათ არ გცხვენია ნიკოვო,
სოლომონს მაინც ვჯობივარ
ჯოჯოხეთშიც რომ ვიყოვო.
რას შვება შენი ქალაქი,
ჩანს უკან მიდის მგონია,
„იმანაც“ ვერა გიშველა
საშიში დარჩა „ფონია“,
არა, შენგვარი ტაკტიკის
მე არვინ გამიგონია!..

ა. ვ—რიას.

აბიბო გულით გილოცავ
ახალ წლის გამოჩენასა,
თანაც ვთხოვ წმინდა ბასილეს
ცოტა მოგაჭრას ენასა.
დაგრძელებულა ოხერი,
არ ზოგავს არვის წყენასა,
თუ რომ არ გინდა წყვიდინი
ეკრძალე სხვისა კბენასა...

მ. გვალიას.

მიხო, გილოცავ ახალ წელს
ნატარიუსად ხმობილო,
მუქთახორების ტიკჭორავ,
იმათში გამოწრთობილო.
გისურვებ ბევრი გეშოვნოს
ქანქარი ჩემო ძმობილო.

—

მისალოცი ბევრი დამრჩა,
(ვიცი ყველას ეწყინება)
მეორე წელს მოესწრებით
იქონიეთ მოთმინება.
მებუკესთვინაც მინდოდა
მილოცვა და გახარება,
მაგრამ ეხლა დრო არა მაქვს—
საქეიფოთ მეჩქარება.

**ხვლიკი.**

—

**სამტრედიისათვის.**

კლუბს.

ახალ წლიდან გაიხსნები
ჩვენო კლუბო, თვალის ჩინო,
გვედრები ნარდ-ბანქოთი
წევრები არ მოგვიწყინო.

ლ-ოს.

ახალ წელსა მოგილოცავ
და გისურვებ კარგ ცხოვრებას,
გიჯობს ძმაო ახალ წლიდან
ხელი უშვა აქანქრებას.

ვ-ას.

რაც რომ იყო ძველს ჩაბარდეს
მომავლისა მოემზადე,
„ჩუმი სიტყვა“, გამოთრობა
ახალ წლიდან განზე დადე.

ტ-ნს.

დრო კი არის რომ დაფიქრდე
მაშვრალთ ყვლეფა მიატოვო,
ეჰ მხეცური ჩვეულება
ძველ წელიწადს დაუტოვო.

გ-ეს.

რა წესია ჩემო კარგო,
პადლოგით ჯიბეს ავსებდე!
სხვისი ოფლით ნაშოვარსა
ცრუ წარწერით ითვისებდე?
კარგი არის მაგ ხელობას
დროზედ რომ დაივიწყებდე

**უხილავი.**

—

**გურიისათვის.**

მამასახ-ს

ჩიბათისა თვითმყრობელო
ჯაჭვიანო მახარბელო!
ენით ტურავ, საქმით მგელო,
ვეჭვობთ გაიტანო ლელო.

ლ-თის ინტ-ციას.

გამოცანას მოგახსენებთ,
ძნელი არაფერიაო;
თავ-ფუტურო, ენა გრძელი—
თქვენზედ შესაფერიაო.

აქიმ-ფერშ-ს.

ქათამი რო წყალსა დალევს
მაღლა ღმერთსა შეხედავსო...
თუმანი თუ არ მოგართვეს
ნაკლებს ვინ გაგიბედავსო!

პოჩ-ტ-ს.

„შაგ ბერიოდ, დვა ნაზად,
პრიმერ ხოჩეტ პოკაზათ“?!

შუხ. ბანკის წევრებს.

წარსულ წელში ჩაიბარეთ
ბანკის დავთრები ნაგვითა,
მამული დიდი ზარალით,
დახლი 900 თაგვითა...
აზნაურ-დელიყანდები
და თავმჯდომარე დავიდა...
რაკი ვერ გახსნეს ცანდები,
გაშავ-ყორანდა წავიდა.

ან-ს.

არ გათეთრდება ყორანი
რამდემდენიც ხეხოთ ქვიშითა,
სკოლის ასეთი წაბილწვა
ალბათ თუ მოგდგამთ ჯიშითა?..

ნიგოითის მწ-ს.

მარგალის კოჩო რიჟაო,
ბახუსმა გაგაგიჟაო..
სამმართველოში არა ხარ
მიკიტნებთან გაქვს ბირჟაო.

სოფ. მღვ-ბს.

დროი იშოვნეთ, იგი გაცინებთ?
მათრახის კუდი არ დაგაძინებთ.

**თემუკაი.**

(2- ჟ. 261/222



იუმორისტული ჟურნალი

# „მათრახი“

გამოვა ყოველ კვირა დღეს, თუ რაიმე გარემოება არ შეგვიშლის ხელს.

**ჟურნალზე წლიური ხელის მოწერა არ მიიღება, ხოლო ვინც გამოგზავნის 1 მანათს მას გაეგზავნება 20 ნომერი ჟურნალისა ახალ წლიდან.**

საჭიროა ჩვენმა კორესპონდენტებმა მოგვაწოდონ, როგორც სადღეისო მასალები, აგრეთვე — სამათრახო და საზოგადო მოღვაწეთა სურათები, კარიკატურებისთვის.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები და რეკლამები ფერადის კრასკებით. ფასები რედაქციასთან მორიგებით.

წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Т. Болквадзе „მათრახისათვის“.




— ღმერთმა მარგუნა მე ეს ბარგი ასაკიდათა,
მძიმეა მაგრამ მიხარია კიდეც დიდათა;
საითაც მინდა იქით უზამ თავსა და ბოლოს,
ვის ესაქმება — თუნდ დაიმტვრეს, თუნდ დაიქოლოს.

— ვერ დასძრავ ვერა, მძიმე არის შენთვის ეგ ტვირთი
მოგხვდება ტალღა, ჩაიკეცვი, წაგიღებს ზვირთი.
გიჯობს სხვა რამე აიკიდო, შეუშვა ხელი,
შენზედ გმირი ვარ, მაგრამ მაგან მომწყვიტა წელი.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12. რედ.-გამომც. თ. ბოლქვაძე